

შპს “ბიაი”

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დასრულებული წლისთვის

შპს „ბიპი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნები		31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები		105,524	389355
სავაჭრო მოთხოვნები	7.1	259,535	130135
მოთხოვნები გაცემული სესხიდან	7.2	502438	
არამატერიალური აქტივები		42114	4096
<i>სასაქონლო მატერიალური</i>			
მარაგები	8	79630	109555
წინასწარ გაწეული ხარჯები		201	101
		989442	633242
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	9	976663	709879
		976663	709879
სულ აქტივები		1966105	1343121
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	11	234707	175049
გადასახდელი ხელფასები		23451	22423
საგადასახადო ვალდებულებები		(72677)	2187
სხვა ვალდებულებები		5326	173684

190807	373343
--------	--------

გრძელვადიანი ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულებები	12	9328	409971
ბანკის სესხი	10	630324	28486

639651	438457
--------	--------

სულ ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

830458	811800
--------	--------

200	200
-----	-----

1135447	531121
---------	--------

1135847	531321
---------	--------

სულ ვალდებულებები და კაპიტალი

1966105	1343121
---------	---------

შპს „ბიაი“-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

კლიენტებისგან და დებიტორებისგან

მიღებული ფული

3204394

გადახდილი საოპერაციო ხარჯები

კრედიტორებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები

(2132164)

თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები

(331444)

გადახდილი პროცენტი

(27047)

გადახდილი გადასახადი

(246296)

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

467443

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა

(411015)

გადახდილი თანხები ფინანსურ იჯარაზე

(523583)

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

(934598)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

სესხის მიღება

706700

სესხის დაფარვა

(73376)

სესხის გაცემა

(450000)

წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

183324

ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა კლება

(283831)

ფულისა და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში

389355

ფულისა და ფულის ექვივალენტების პერიოდის ბოლოს

105524

შპს "ბიაი"-ს 2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება (ხარჯების ფუნქციების მიხედვით)

	შენიშვნები	2018
ამონაგები	3	3010876
რეალიზებული პროდუქციის		
თვითღირებულება		(1699250)
საერთო მოგება		1311626
სხვა შემოსავალი	4	52636
გარე ორგანიზაციებიდან მიღებული		
ხარჯი	6	(165538)
ადმინისტრაციული ხარჯები		(374315)
ცვეთა		(148061)
საგადასახადო ხარჯები		(9335)
ფინანსური დანახარჯები	5	(62687)
მოგება დაბეგვრამდე		604326
მოგების გადასახადის ხარჯი		0
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		604326
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		
წლის დასაწყისში		531321
დივიდენდები		0
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		
წლის ბოლოს		1135647

შპს “ბიაი“-ს სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ბიაი“-ს ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მასალების წარმოება და რეალიზაცია. საქმიანობის ადგილია თელავი, სოფ. კარდისუბანი.

საზოგადოების დამფუძნებელი არის:

ზურაბ ჭარბაძე

100%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში: “ლარში”, ხოლო ფინანსურ ღიზინგთან დაკავშირებული ვალდებულებები წარმოდგენილია აგრეთვე აშშ დოლარშიც.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების

მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების დამატებით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო-შეწონილი“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი.

ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საგაჭრო ვალდებულებები

საგაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული საგაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან მოგების გადასახადის დაბეგვრის მიზნით მოქმედებს ე.წ. “ესტონური მოდელი”, რის მიხედვითაც საწარმო მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა:

- ა) ხდება პარტნიორებზე მოგების განაწილება დიდვიდენდის სახით
- ბ) გაწეულია ხარჯი ან სხვა გადახდა რაც დაკავშირებული არ არის საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან ფულადის სახსრების გადაცემა
- დ) საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევა

3. ამონაგები

2018

ლარი

• საქონლის გაყიდვა

3010876

4. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალს წარმოადგენს უცხოური ვალუტის საკუროს სხვაობებით მიღებული შემოსავლები 198 ლარი და საპროცენტო შემოსავალი 52438 ლარი, სულ 52636 ლარი.

5. ფინანსური დანახარჯები

2018

ლარი

ბანკის სესხის პროცენტი

(27047)

ფინანსური იჯარის პროცენტი

(35640)

(62687)

6. გარე ორგანიზაციებიდან მიღებული ხარჯი

დამხმარე მასალა და სათადარიგო ნაწილები

105675

ავტოსატრანსპორტო მომსახურება

23021

ავტომანქანების ხარჯი

1055

ელ. ენერგია

34731

გაზი

721

თხევადი გაზი

105

ჟანგბადი

230

165538

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
7.1 სავაჭრო დებიტორები	259535	130135
7.2 მოთხოვნები გაცემული სესხიდან		
გაცემული სესხი	450000	
სესხზე დარიცხული პროცენტი	52438	
	-----	-----
	761973	130135
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
საქონელი და ნედლეული	72531	69852
დაუმთავრებელი წარმოება		21582
მზა პროდუქცია	7099	18121
	-----	-----
	79630	109555

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა; შენობა ნაგებობები; დაუმთავრებ ელი მშენებლობა	მანქანა დანადგარე ბი	ტრანსპ ორტი	ინვენტარ ი და სპეციალ ური მოწყობი ლობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა და სხვა	სულ
თვითღირებ ულება						
01.01.2018	91859	466101	392074	116866	71200	1138100
შემოსვლა	407		410995	17356		428758
გასვლა		17309	30325	40	2258	49932
31.12.2018	92266	448792	772744	134182	68941	1516925
დაგროვი ლი ცვეთა და გაუფასურე ბა						
01.01.2018	26746	146367	236299	98286	32564	540262
წლიური ცვეთა	10572	33305	79514	13132	2641	139164
გასული აქტივის დაგროვილ ი ცვეთა						
გაუფასურე ბა						
31.12.2018						
საბალანსო ღირებულებ ა	65520	302425	536445	36896	36379	976663

10.სესხები ბანკიდან

31.12.2018

31.12.2017

ლარი

ლარი

ვითიბი ბანკი

630324

0

11. სავაჭრო ვალდებულებები

31.12.2018

31.12.2017

234707

175049

12.ფინანსური იჯარის ვალდებულება

საწარმოს ფინანსური იჯარით აღებული აქვს ერთი სპეციალიზებული დანადგარი: ბეტონის ქარხანა, რომლის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა თხუთმეტი წელია. ამ ლიზინგის ფარგლებში თიბისი ლიზინგს შეძენილი აქვს საწარმოს კუთვნილის სატრანსპორტო საშუალებები (ოთხი ერთეული). წლის განმავლობაში მოხდა დანადგარის ვადაზე ადრე გამოსყიდვა, მაგრამ თიბისი ლიზინგის საკუთრებაში დარჩა სატრანსპორტო საშუალების ორი ერთეული.

31.12.2018

31.12.2017

ლარი

ლარი

ფინანსური იჯარა

9328

28486

9328

28486

13. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს მიწის ფართობი, სადაც განთავსებულია სამშენებლო მასალების საწარმო.

31.12.2018	31.12.2017
ლარი	ლარი
2690	0
2690	0

14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2018	2017
	ლარი	ლარი
ფულადი სახსრები საღაროში	105519	389353
ფულადი სახსრები ბანკში	5	2
	105524	389355

15. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს შემდეგ ლიცენზიებს: 1. ქვიშა-ხრეშის მოპოვების ლიცენზია #10000012-, თელავი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარე თურდოზე ქვიშა-ხრეშის საბადო. 2. მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების (სამეწარმეო დანიშნულებით) ლიცენზია #1005468 თელავი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ანგარიშგების პერიოდის შემდეგი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ აღვლილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შედგენის თარიღი:

30.09.2019წ

დირექტორი:

/ზ.ჭარბაძე